სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 11

2018 წ. "06" 09

ქ.თბილისი

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 3 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1064452) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის №77 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი